პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 95 (2458) ◉ შაბათი, 16 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეიმი ასუანში

სახალხო დღესასწაულს დაესწრო ნ. ს. ხრუშჩოვი

უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ტრადიციულად იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურს დიდი გულითადობით ხვდებიან ყველგან, სადაც იგი გამოჩნდება.

14 მაისს დიდი ზეიმი გაიმართა ასუანში, სადაც უნდა მომხდარიყო აფრიკის უდიდესი მდინარის — ნილოსის გადახიდვა. ზეიმს დაესწრნენ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი, იემენის პრეზიდენტი ას-სალალი, ერაყის პრეზიდენტი არეფი.

ნილოსის გადახიდვისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი, რომელზეც შეიკრიბნენ მაღლივი კაშხლის ათეულ ათასობით მშენებელი, ასუანისა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლები, გახსნა ასუანის მაღლივი კაშხლის საქმეთა მინისტრმა სიდკი სოლიმანმა. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა არაბ ხალხს, მეცნიერებს, ირიგატორებს, მშენებლებს ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება—ნილოსის გადახიდვა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა გამალ აბდელ ნასერს, რომლის გადაწყვეტილებით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მაღალი ჯილდოები ეგვიპტელ ინჟინრებთან, ტექნიკოსებთან და მუშებთან ერთად გადაეცათ საბჭოთა სპეციალისტებს. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აგრეთვე მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს, რომ მან თანხმობა განაცხადა საბჭოთა კავშირის ჯილდოებით დაჯილდოვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუშები და ტექნიკოსები. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ასუანის მაღლივი კაშხლის მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა საბჭოთა და არაბი სპეციალისტებისა და მუშების ჯგუფი.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — სსრ კავშირის გმირის წოდება მიანიჭა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ გამალ აბდელ ნასერს.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრეზიდენტს მარშალ აბდელ ჰაქიმ ამერს.

ლიდერის გარეშე

სსრ კავშირისა და საფრანგეთის ტანმოვარჯიშეთა შეხვედრა

საფრანგეთში ამჟამად იმყოფება საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას ატარებს ამ ქვეყნის ნაკრებთან.

პარიზში შედგა შეჯიბრება ნებისმიერი ვარჯიშების პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები გამოდიოდნენ თავიანთი ლიდერის — ლ. ლატინინას გარეშე (მან მსუბუქი ტრავმა მიიღო წვრთნაზე), მათი უპირატესობა აშკარა იყო თითქმის ყველა იარაღზე. მასპინძელთა გუნდმა მხოლოდ ორძელზე შეძლო გამარჯვების მოპოვება 0,95-ქულიანი სხვაობით. საერთო ჩათვლაში ნებისმიერი ვარჯიშების პროგრამის დამთავრების შემდეგ ჩვენი გუნდი ლიდერობს 189,95 ქულით (ფრანგების 185,25 ქულის საპირისპიროდ).

ამავე პროგრამის შემდეგ პირად ჩათვლაში დაწინაურდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი შ. ასტახოვა, რომელმაც მაღალი შედეგები აჩვენა დვირზე (9,75), თავისუფალ (9,8) და ორძელზე (9,75) ვარჯიშებში. ნებისმიერი ვარჯიშების მრავალჭიდში მისი შედეგია 38,85 ქულა. ლიდერს 0,5 ქულით ჩამორჩება ს. მურატოვა (ხტომაში მან მიიღო 9,8 ქულა). მესამე ადგილზე მიდის ფრანგი დ. კულონი — 37.85.

ასპარეზობა სავალდებულო პროგრამით გაიმართება ქალაქ მონსო-ლე-მინში.

ბლეკბულის შემდეგ ბერლინი

მოსკოვიდან ბერლინს გაფრინდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი ცურვაში. მის შემადგენლობაში არიან ევროპის ჩემპიონი ლეონიდ გ. პროკოპენკო, მოსკოველი ვ. კუზმინი, კიეველი ლ. ბარბარენი და საბჭოთა კავშირის 9 ჩემპიონი.

საბჭოთა გუნდი 17 და 18 მაისს გამართავს შეჯიბრებებს, რომელიც მეორე იქნება ოლიმპიურ წელს (პირველი შედგა ამას წინათ ბლეკბულში ინგლისის ნაკრებთან).

მერზთან, ბარზთან, მოედანზე

სწავლა და სპორტი ბავშვობიდანვე უყვარდა იაგო ფიცხელაურს. საშუალო სკოლაში სწავლისას, მოამზადებდა თუ არა გაკვეთილებს, თანატოლებში გაერეოდა, მთელ თავისუფალ დროს მათთან ჰიდილში ატარებდა, ეჯიბრებოდა სიგრძეზე ან სიმაღლეზე ხტომაში, რბენაში, თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ შემდეგ, როცა დვაუკაცდა, „პროფესია“ შეიცვალა, კალათბურთი ირჩია და კარგი ფიზიკური მონაცემების წყალობითა და ენერგიული, რეგულარული ვარჯიშით მალე თანრიგოსანი სპორტსმენიც გახდა.

უკან დარჩა სკოლაში სწავლის წლები. იაგო ფიცხელაურს არც უფიქრია რომელ უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო, რა პროფესიას დაუფლებოდა. ეს საკითხი დიდი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა, რადგან ბავშვობიდანვე იტაცებდა მანქანათმშენებლობა, ცდილობდა უფრო ღრმად ჩაწვდომოდა მისთვის საინტერესო და რთულ დარგს, გაეგო მექანიზმების მაჯისცემის საიდუმლოება. მუუაითმა ახალგაზრდამ ოცნება აისრულა — მიმდინარე სასწავლო წელს სწავლა განაგრძო ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, ორწლიანი საწარმოო პრაქტიკის მისაღებად კი ზეინკლობა ირჩია კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მეორე საამქროში. წარმატებით სწავლა და ნაყოფიერი შრომა, — აი, ახლა მისი ძირითადი ამოცანა, მაგრამ ჭაბუკი სპორტსაც არ ივიწყებს, კვლავ იმაღლებს ოსტატობის დონეს ქარხნის სექციაში, მონაწილეობს შეჯიბრებებში. კიროვის სახელობის ქარხნის ბაზებზე მიმდინარეობს საქარხნო პირველობა, გამარჯვებისთვის იბრძვის II საამქროს გუნდიც, რომლის ლიდერი მეორეთანრიგოსანი იაგო ფიცხელაურია.

* * *

ხურათებზე: მარცხნივ — ი. ფიცხელაური ბურთით მიისწრაფვის მოწინააღმდეგის ფარისკენ; მარჯვნივ — წუთიც, და მზად იქნება მის მიერ გაჩარხული კიდევ ერთი დეტალი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ჩემპიონთა შეხვედრა

სოხუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის V ტურში დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის გაფრინდაშვილისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის რანიკუს შეხვედრამ. ბრძოლა მწვავედ დაიწყო. მსოფლიო ჩემპიონმა ფიგურები განავითარა ძველინდური დაცვის სქემის მიხედვით. ამ სისტემაში თეთრები ვერ აღწევენ უპირატესობას, მაგრამ რთული თამაშის შესაძლებლობას ღებულობენ. კრიტიკულ მომენტში, როგორც ჩანს, ქართველ მოკადრაკეს რაღაც გამოეპარა მხედველობიდან და მან პაიკი დაკარგა. ამის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. რანიკუმ რთულ ამოცანებს თავი ვერ გაართვა, შეცდა და მატერიალური დანაკლისი განიცადა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო გაფრინდაშვილის უპირატესობით.

ამ დღეს გადაიდო კიდევ ოთხი პარტია. ბიკოვას მოსაგები პოზიცია ჰქონდა ალექსანდრიასთან, ნედელკოვიჩს — ტეოდორესკუსთან, ჩაიკოვსკაიას — ასნოვასთან. თანაბარ პოზიციაში შეწყდა ბუცხრიკიძე—ბელავენეცის პარტია. დამთავრდა მხოლოდ კელერ-გერმან—კარაკაშის შეხვედრა. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ორ პარტიაში შედეგი ფიქსირებულ იქნა თამაშის განუახლებლად — ალექსანდრია დანებდა ბიკოვას, ხოლო ბუცხრიკიძე და ბელავენეცი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გაფრინდაშვილმა იშვიათი სიზუსტით გამოიყენა მატერიალური უპირატესობა რანიკუსთან და 58-ე სვლაზე გაიმარჯვა. სრული ექვსი საათი გაგრძელდა ბიკოვა—ასენოვას პარტია, რის გამოც ბიკოვამ ვეღარ მოასწრო სხვა ორი გადადებული პარტიის დამთავრება. ბულგარელმა ზუსტი თამაშით უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა. ჩინებულად თამაშობ ნედელკოვიჩმა ტეოდორესკუსთან და გაიმარჯვა. ჩაიკოვსკაიასთან იუგოსლაველს მხოლოდ თანაბარი პარტია ჰქონდა და ამიტომ შეხვედრაც ყაიმით დასრულდა.

სამი პარტია დაამთავრა ალექსანდრიამ. ჯერ ითამაშა მოსკოველ ბელავენეცთან. მოსკოველმა კარგად ისარგებლა ყაიმის შანსებით.

თეთრები (ალექსანდრია): მფh2, ლf3, ეf7, პ-ბი: a3, c3, g2, h3 (7)
შავები (ბელავენეცი): მფh7, ლe3, ეe5, პ-ბი: b6, g7, h6 (6)

თამაში პარტიაში ასე გაგრძელდა: 1.... ლd2 (ჩაწერილი სვლა) 2. ლf4, ლ:f4, 3. ე:f4 ეa5, 4. a4 ეc5, 5. ეb4 ე:c3, 6. ე:b6 ეa3, 7. ეb4 h5, 8. მფg1 ეa2, 9. მფf1 მფh6, 10. g3 g6 და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

შემდეგ ბრძოლა განახლდა ალექსანდრია—რანიკუს პარტიაში, რომელიც ასეთ მდგომარეობაში იყო შეწყვეტილი:

თეთრები (ალექსანდრია): მფg1, ლd3, ეa1, ეe1, კe3, პ-ბი: c2, c3, d4, f2, g3, h2 (11).

დასასრული მე-3 გვ.

ჩვენი ფეხბურთელები— ნაკრებში

როგორც ცნობილია, ევროპაში საგასტროლოდ იმყოფება ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც საერთაშორისო მატჩებს ატარებს სხვადასხვა ქვეყნების გუნდებთან.

ურუგვაელები ჩამოვლენ სსრ კავშირშიც, სადაც 20 მაისს შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის ნაკრებს.

ამ მატჩში მონაწილეობისთვის მიწვეული არიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებიც: ბ. სიჭინავა, გ. სიჭინავა, შ. იამანიძე, ხ. მეტრეველი, ვ. ბარქაია და მ. მესხი. დინამოელები 17 მაისს საკავშირო ჩემპიონატის კალენდრულ მატჩს ითამაშებენ დონეცკში და იქიდან გაემგზავრებიან მოსკოვს.

* * *

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდი ემზადება მომავალი შეჯიბრებებისთვის. 14 მაისს საბჭოთა ოლიმპიელებმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს ლენინგრადში ჩეხოსლოვაკიის საკლუბო გუნდ „ედინიტასთან“.

მატჩი მოიგეს საბჭოთა ოლიმპიელებმა ანგარიშით 4:0. გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ ბ. სიჭინავა თბილისის „დინამოდან“ და რ. ურუშაძე ქუთაისის „ტორპედოდან“.

* * *

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის მზადებასთან დაკავშირებით საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში შეტანილია რამდენიმე ცვლილება. კერძოდ, გადადებულია თბილისის „დინამოს“ მატჩი კიევის თანაკლუბელებთან, რომელიც უნდა შემდგარიყო 21 მაისს თბილისში.

18 მაისს, 10 საათზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში

გაიხსნება

საქართველოს სპორტკავშირის

მეორე რესპუბლიკური

კონფერენცია

დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 16-17 მაისს სპორტკავშირის შენობაში (ჯაფარიძის ქ. № 4, ოთახი № 13), ხოლო კონფერენციის დღეს — კონფერენციის ჩატარების ადგილზე.

უკანასკნელი ამბავი...

მეხიკო. პერუდან სამშობლოში მომავალმა მსოფლიო ჩემპიონმა — საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა მექსიკაში ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა. ორივე მატჩი დიდი უპირატესობით მოიგო ჩვენმა გუნდმა — 108:51 და 103:51.

მექსიკის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კალათბურთელების თამაშს. გაზეთ „ნოვედადესის“ აზრით „მსოფლიო ჩემპიონებმა სამაგალითო თამაში აჩვენეს“. „ეს იყო დაუვიწყარი კალათბურთი“, — წერს „დიარიო დე მეხიკო“.

საბჭოთა სპორტსმენები მიიღო მექსიკის პრეზიდენტმა ლოპეს მათეოსმა.

ტამპერე. საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ფინეთის ნაკრები — 90:77 (54:32). საბჭოთა გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანეს პეტროვმა (22) და ტრავინმა (18).

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურმა ნაკრებმა ფეხბურთში თავის მოედანზე მიიღო ინგლისის პირველი ლიგის გუნდი „ლიდ იუნაიტედი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

ლაიფციგი. მშვიდობის მრავალდღიანი ველოსიპედის VI ეტაპი ბერლინი — ლაიფციგი (194 კმ) მოიგო რუმინელმა ი. სტოიკამ — 4:44.54. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ჩერეპოვიჩი. ლიდერთა ჯგუფში იყო აგრეთვე ორი სპორტსმენი ჩვენი გუნდიდან (კაპიტონოვი და კულიბინი).

ეტაპი მოიგო საბჭოთა კავშირის გუნდმა.

ახალი რეკორდი

კუბის მძლეოსნებმა გაახარეს თავიანთი გულშემატკივრები. ჰავანის სტადიონზე რომის ოლიმპიადის ფინალისტმა 100 მეტრზე რბენაში ენრიკე ფიგეროლამ ეს მანძილი გაირბინა 10,2 წამში. ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა მძლეოსანმა ქალმა მიგელინა კობიანმა. იგი პირველი იყო 100 მეტრზე რბენის ფინიშთან — 11,4 წამი. კარგი დრო აჩვენა ბერტა დიასმა 80 მეტრზე თარჯრბენში — 10,7.

საცურაო გზებზე

მაღალი შედეგი აჩვენა 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ფრანგმა მოცურავე ქალმა კ. კარონმა ბარსელონის აუზში (საწყლისნო ბილიკის სიგრძე — 33,3 მ). ეს დისტანცია მან დაფარა 1.08,7 წუთში.

გფრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა ი. ოლბრიშმა ბრემენის 25-მეტრიან საცურაო აუზში. 100 მეტრის თავისუფალი სტილით დაფარვას მან მოანდომა 1.02,9 წამი.

სტუდენტ-სპორტსმენთა ფორუმზე

სპორტის ბევრ მოყვარულს ალბათ ჯერ კიდევ ახსოვს შარშანწინ თბილისში გამართული სტუდენტთა III საკავშირო თამაშების შედეგები მაშინ საქართველოდან ჰუმანიტარულ და ტექნიკურ სასწავლებლებს შორის ასპარეზობაში მონაწილეობდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტების ჯგუფში — საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი. იმ დროისათვის ყველაზე ძლიერმა — საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, რომელიც პირველი იყო წინა ორ თამაშებში, კომპლექსურ ჩათვლაში „საკუთარ მოედანზე“ წაგო მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივთან და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ამ მარცხმა ახალი ამოცანები დაუსახა საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებსაც (ასეთი რესპუბლიკაში თვრამეტია). მათ ნაყოფიერად უნდა გამოეყენებინათ მორიგ თამაშებამდე დარჩენილი დრო, ებრძოლათ დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის. ამ მიზნით დროულად შემუშავდა სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების დებულება და პროგრამა, გაიშალა სამზადისი, ხოლო მიმდინარე თვეში დაიწყო მორიგი — მესამე — რესპუბლიკური თამაშები, რომლის პროგრამაშია სპორტის 18 სახეობა.

უკვე დამთავრდა შეჯიბრებები ორ სახეობაში — ჭადრაკში და ტრეკზე რბოლაში. მოჭადრაკეთა ტურნირში გამარჯვებულმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა უკვე დაჰკარგა საკავშირო თამაშების ფინალში შეჯიბრების გაგრძელების უფლება, რადგან ერევნის ზონალურ ტურნირში ჩამორჩა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ერევნის გუნდებს.

ტრეკზე რბოლაში რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონობა დაისაკუთრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა. ფიზკულტურის ინსტიტუტს წილად ხვდა მეორე ადგილი.

თამაშების მეტი მასობრიობის მიზნით „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ გადაწყვიტა კალათბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში ჩაეტარებინა ზონალური შეჯიბრებები, საიდანაც უძლიერესი 2-2 კოლექტივი თავს მოიყრიდა თბილისში, ფინალურ ასპარეზობაზე. შეჯიბრება ერთ ასეთ ზონაში უკვე დამთავრდა (სოხუმში ქალთა გუნდებისთვის), რის შემდეგ, გამარჯვებულნი — ადგილობრივი და გორის პედინსტიტუტების კოლექტივები — ჩაებნენ თბილისის ფინალურ ტურნირში. აქ თავი მოიყარა 9 გუნდმა.

სამწუხაროდ, უკვე გამოვლინდა ღონისძიებისადმი გუნდების არასპორტული დამოკიდებულების ფაქტი: სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელები უცხო ენების ინსტიტუტის კოლექტივთან შეხვედრაში დამარცხების შემდეგ არ გამოცხადდნენ გორის პედინსტიტუტთან მატჩზე, ხოლო ბათუმის პედინსტიტუტმა საერთოდ თავი აარიდა გუნდის გამოგზავნას.

ამ მხრივ უფრო შორს წავიდნენ სახელმწიფო კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის, თელავის პედინსტიტუტის რრგანიზაციები, წინასწარი განაცხადებით ისინი პროგრამის 18 სახეობიდან მხოლოდ 3-7 სახეობაში აპირებენ მონაწილეობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ კოლექტივებში არასათანადო ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდას.

ამ მხრივ როგორაა საქმე კრივსა და წყალში ხტომაში? აქ პირდაპირ სამარცხვინო მდგომარეობაა. კრივში ბრძოლის სურვილი გამოთქვა მხოლოდ 3 უმაღლესმა სასწავლებელმა (უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები), წყალში ხტომაში კი — 4-მა.

დადგა რესპუბლიკური თამაშების ფინალის დღეები, 30 მაისს შეჯამდება საბოლოო შედეგები, გამოვლინდებიან ის უძლიერესი კოლექტივები, რომლებიც საქართველოს სპორტულ ღირსებას დიცავენ საკავშირო ასპარეზზე.

ო. გელაშვილი

• • •

სურათზე: თბილისის სახელმწიფო სამეურნეო და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ხუთი სუფთა გამარჯვება

ქუთაისი. (ჩვენი საკ. კორ.). აქ დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

გუნდური პირველობა დაიკავეს აბრეშუმის კომბინატის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი ა. ნუცუბიძე). მეორე ადგილზე არის ლიტოპონის ქარხნის მოჭიდავეთა კოლექტივი. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ს. სულაბერიძე, სპორტის ოსტატი ო. სინაურიძე, სპორტის რსტატი ა. ნუცუბიძე, რ. გელაშვილი, ი. ჯიშკარიანი, მ. კაკაურიძე, ყ. სინატაშვილი და ა. სანიკიანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მზარდი მოჭიდავის, პირველთანრიგოსან რომან გელაშვილის წარმატება, რომელსაც ერთ სალამოს მოუხდა ხუთი შეხვედრის ჩატარება და ხუთივე სუფთა მოგებით დაამთავრა.

ჩვენ ვასკოგზილავთ

სამტრედია

სამტრედიის დოსააფის სასროლეთზე „კოლმეურნის“ რაისაბჭომ გამართა პირად-გუნდური პირველობა წოლელა მდგომარეობიდან ტყვიით სროლაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 64-მა სპორტსმენმა, რომელთა შორის 12 ქალი იყო. პირად ჩათვლაში ყველაზე მეტი ქულა (90) მოაგროვა დილი ჯიხაიშის ტექნიკუმის მსროლელმა მ. მებუკემ.

გუნდურ ჩათვლაშიც დიდჯიხაიშელ მსროლელებს ხვდათ წარმატება. მეორე ადგილზე გამოვიდა იანეთის საშუალო სკოლის გუნდი, მესამეზე — აბაშის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

ჯ. ვაშაკიძე

აბაშა

აქ ჩატარდა ზონალური შეჯიბრება კალათბურთში, ვოლოსპორტსა და შაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ აბაშის ზონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები.

შეჯიბრებაში კარგი მომზადება გამოავლინეს აბაშის პირველი, მეორე, ონტოფოს და მარნის საშუალო სკოლების სპორტულმა კოლექტივებმა. ამ სკოლებიდან განსაკუთრებით თავი იხახელეს მოსწავლე სპორტსმენებმა დ. მაღნარაძემ, ლ. გეგეშიძემ, კ. ბზიავამ, თ. თოფურიამ და გ. ძველაიამ.

ი. თოფურია

ერთოგლივი ღონისძიება

ამას წინათ სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირმა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საბჭოსთან ერთად მოაწყო თბილისის პირველობა ჭადრაკსა და შაშში იურიდიული კონსულტაციებისა და შემნახველი სალაროების გუნდებს შორის.

ჭადრაკში ერთმანეთს შეხვდნენ იურიდიული კონსულტაციების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები (თვითეულ გუნდში სამი კაცი). პირველობაში, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა, ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პირველი მაისის რაიონის გუნდმა (ს. პირაევი, რ. ამაშუკელი, ნ. თუმასიანი). მეორე ადგილი დაიკავა ოქტომბრის რაიონის, მესამე — კალინინის რაიონის გუნდებმა.

მოშაშეთა შეჯიბრებაში ჩაებნენ შემნახველი სალაროების გუნდები. საინტერესოა, რომ ტურნირში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოქტომბრის რაიონის ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ. მეორე ადგილზე გამოვიდა კიროვის სახელობის რაიონის, მესამეზე კი ლენინის რაიონის გუნდები.

მ. ნიქაბაძე

მთასვლელთა სემინარი

მთასვლელობაში ინსტრუქტორთა ახალი კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო თბილისში ატარებს 20-დღიან სემინარს. ამის გამო რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტები — ვ. ჩხეიძე, დ. დათუნაშვილი, ლ. გაბაშვილი, ჯ. გოგოლაძე, მ. სუჯაშვილი, მთასვლელები — ა. კვიციანი, ტ. ნევერიანი, ლ. აფრასიძე, ა. ქალდანი, ჯ. კვიციანი და სხვ.

სემინარის მონაწილეები გაეცვნენ ტურისტული სექციების მუშაობის ეგგმას, შეისწავლეს ლაშქრობისთვის მზადების საკითხები და სხვ.

სემინარის თეორიული ნაწილის დამთავრების შემდეგ მოეწყობა სასწავლო-ტურისტული ლაშქრობა თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის მთებსა და უღელტეხილებზე.

ნ. მიქაშავიძე

პრიმი სასჩირკო ნომერი როდია



რინგზე თუნდაც ერთხელ გასული ნამდვილი ვაჟკაცი სამუდამოდ რჩება კრივის პატივისმცემელი. სპორტის ეს სახეობა ჩვენს ახალგაზრდობას იმიტომ კი არ ხიბლავს, რომ იგი რაღაც ცხოველური ინსტინქტების, ან ქუჩური ჩხუბის გამოვლენაა, არამედ კრივი არის ძალის, გამბედობის, რაინდობისა და ხელამაზის შერწყმა, რომელსაც ათლეტი რინგის კვადრატზე ავლენს. ამ მხრივ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ერთ უხერხულებაზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის უურადღება.

საქმე ის არის, რომ კრივს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დიდი ტრადიციები აქვს და, ბუნებრივია, თბილისელი მაყურებლები ინტერესით ათვალიერებენ ავიშებს, რომლებიც მოკრივეთა ორთაბრძოლების შესახებ იუწყებიან...

ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლის წინ დადგეს სტენდი, რომელზეც წერია: „21-24 მაისს სასახლის სარბიელზე გაიმართება საკავშირო პირველობის ზონალური ტურნირი“. განცხადება „ილუსტრირებულია“ იატაკზე გართხმული კაცის შარეით. ცხადია, ასეთი „პოპულარიზაცია“ დათვურ სამსახურს გაუწევს კრივს. სპორტულ რეკლამაზე ხომ უპირველეს ყოვლისა ძალა და ათლეტურობა უნდა იყოს აღბეჭდილი!

სპორტის სასახლის დირექცია უფრო წინდახედულად და გონივრულად უნდა უწევდეს რეკლამას ამა თუ იმ სპორტულ შეჯიბრებას.

რად გადაგვიხნეს მოედანი?

არცთუ პატარა სოფელია გეგეჭკორის რაიონში მუხურჩა. იგი განთქმულია ჩაის პლანტაციებითა და ვენახებით, სადაც დაუღალავად შრომობენ ახალგაზრდებიც.

შრომაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებასთან ერთად ახალგაზრდობას აინტერესებს ფიზკულტურა და სპორტიც. სოფელს ჰქონდა ფეხბურთის მოედანი, რომელზეც ხშირად იმართებოდა საწვრთნელი ვარჯიში და ამხანაგური მატჩები. მაგრამ ამას წინათ მშრომელ ახალგაზრდობას მოუსპეს სპორტული მეცადინეობისა და შეჯიბრებათა ჩასატარებელი ეს ერთადერთი ადგილი. კოლმეურნეობის გამგეობის მითითებით ფეხბურთის მოედანი... გადახნულ იქნა.

სად ივარჯიშონ თავისუფალ დროს მუხურჩელმა ახალგაზრდებმა? სად გამართონ საინტერესო სპორტული ასპარეზობანი?

ბ. ფოჩხუა

სოფელი მუხურჩა,
გეგეჭკორის რაიონი.

სკოლას სჭირდება სპორტული ბაგები

თიანეთის რაიონის სოფელ ნაქალაქარის საშუალო სკოლაში ყველა პირობა არსებობს მოსწავლეთა ფიზკულტურასა და სპორტში ჩასაბმელად, გარდა... სპორტული ბაზებისა. სკოლას არ გააჩნია ფეხბურთის, ან სხვა თამაშებისათვის საჭირო, თუნდაც მარტივი ტიპის მოედნები.

ჩვენი აზრით, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ნაქალაქარის მოსწავლეთათვის და კოლმეურნეებისათვის სათანადო სპორტული ბაზების მოწყობა. საჭიროა მხოლოდ თაოსნობა და საზოგადოებრივი ინიციატივის გონივრული გამოყენება.

მ. ბუჩუკური

სოფელი ნაქალაქარი,
თიანეთის რაიონი.

ამას წინათ ბათუმში დამთავრდა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის შერჩევითი ტურნირი. ყოველ წონით კატეგორიაში პირველ სამ ადგილზე გამოსულმა სპორტსმენებმა ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. სურათზე: ტურნირში გამარჯვებული მოჭიდავეები (მარცხნიდან) — ვლასოვი (როსტოვი), წიკლაური (ორჯონიკიძე), ზუცევი (ორჯონიკიძე), ზახაროვი (რუსეთის ფედერაცია), გობეჯიშვილი (ქუთაისი), მესხიძე (ბათუმი), ცხოვრებოვი (თბილისი), კოშკაძე (თბილისი).

ფოტო ა. ტულუშისა.

...და მაინც სასარგებლო შეჯიბრება

ე. იანჩევსკი — ველოსპორტის ჩემპიონი

ბოველი შეჯიბრება რაღაც გარკვეულ მიზანს ემსახურება. საქართველოს მრავალდღიან ველოსრბოლას ერთგვარად ექსპერიმენტული ხასიათი ჰქონდა, რომელსაც მთელ რიგ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი და მომაგალი დიდი ბრძოლებისთვის ახალგაზრდა კადრები შეერჩია. ამ მხრივ რბოლამ უდავოდ გაამართლა თავისი დანიშნულება და კიდევ უფრო სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მან მზის სინათლეზე გამოიტანა ნაკლოვანი მხარეებიც.

დავიწყოთ მონაწილეთა რაოდენობიდან. პირველ ეტაპზე ბრძოლაში ჩაება 34 ველოსრბოლი, ხოლო მეხუთე, უკანასკნელი ეტაპი, 18-მა სპორტსმენმა დაამთავრა. დასკვნა სახეზეა — მონაწილეთა ნახევარი შეჯიბრებისთვის მზად არ იყო. მაგრამ ეს არის საკითხის ერთი მხარე. დასანანი აქ ისიცაა, რომ რესპუბლიკური ველოსრბოლის სტარტი მონაწილეთა ასეთმა უმნიშვნელო რაოდენობამ აიღო. ამან, რა თქმა უნდა, საგრძნობლად დასცა ინტერესი შეჯიბრებისადმი.

საკმაოდ გაუგებარია ქუთაისისა და ზუგდიდის გუნდების ხელმძღვანელთა პოზიცია, რომლებმაც თავი აარიდეს ველოსრბოლაში მონაწილეობას. როგორც ჩანს, არც ერთ აღნიშნულ ქალაქში ველოსპორტის განვითარებას სერიოზული ყურადღება არ ექცევა. ზუგდიდში, მაგალითად, გუნდის ერთი წევრის ე. სტროევის ავადმყოფობამ დაშალა გუნდი. კურიოზული ფაქტია!

შეეძლო თუ არა სპორტსმენთა გამოყვანა ქუთაისს? ვფიქრობთ რომ შეეძლო, რადგან ქალაქს ველოსპორტის მდიდარი ტრადიციები აქვს. ამბობენ, რესპუბლიკური მრავალდღიანი ველოსრბოლის დღეებში ქუთაისში უნდა ჩატარებულიყო საქალაქთაშორისო მატჩი ტამბოვისა და კიდევ რამდენიმე სხვა ქალაქის სპორტსმენთა მონაწილეობით და სწორედ ამან შეუშალა ხელი ქუთაისელთა ჩამოსვლას თბილისშიო. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ იგი არამცდაარამც არ წარმოადგენს გამამართლებელ საბუთს, რადგან სამატჩო შეხვედრა სპორტსკოლების ნორჩ ველოსრბოლთა შორის უნდა მომხდარიყო და არა მოზრდილებში.

როგორი იყო რბოლის საერთო ხარისხი? მიუტევებლად დაბალი. მოუმზადებელი სპორტსმენებით ჩამოვიდა თბილისში სამხრეთ ოსეთის ნაკრები, ამ გუნდის წევრები, როგორც წესი, დისტანციას ან უკანასკნელები ამთავრებდნენ, ან საერთოდ ტოვებდნენ ტრასას. ასე თვალსაჩინოდ ხელს შუა გაქრა ჯერ ერთი მონაწილე, შემდეგ მეორე და, ბოლოს, მთლიანად გუნდი.

უდავოდ მეტს მოველოდით აჭარის ველოსრბოლთაგან, მაგრამ არც მათ გაამართლეს იმედები. საქმე იმაშია, რომ ამ გუნდის ორი წამყვანი წევრი (რ. გუძი და ს. გრიშკევიჩი) სულ ცოტა ხანია, რაც აჭარაში გადავიდა საცხოვრებლად. ასე, რომ ამ ორი სპორტსმენის წარმატება „ადგილობრივი მნიშვნელობის“ ფაქტი არ გახლავთ. სხვა დანარჩენები იმდენად მოუმზადებლები იყვნენ, რომ მათი შედეგები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ნაკლოვანებათა ამ საერთო ფონზე სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა რუსთავის გუნდი (მწვრთნელი გ. ურთქმელიძე), რომელმაც პირველად მიიღო მონაწილეობა ასეთ დიდ შეჯიბრებაში და გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ამ გუნდის წევრი ი. კრასავცევი ნამდვილად სასარგებლო „აღმოჩენა“ იყო ჩვენი ველოსპორტისთვის. ახალგაზრდა სპორტსმენი უველასათვის მოულოდნელად ლიდერობდა ორ ეტაპს და მხოლოდ გამოუცდელობამ გადაიყვანა იგი პირველიდან მეექვსე ადგილზე. ი. კრასავცევი შეუვანილია რესპუბლიკის ნაკრები გუნდის კანდიდატთა სიაში.

საერთოდ, რა შეიძლება ითქვას რბოლაზე? უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, მისი მონაწილენი ტექნიკურად და, განსაკუთრებით, ფიზიკურად ცუდად იყვნენ მომზადებული. სწორედ ამით აიხსნება ორი უკანასკნელი ეტაპის მეტად დაბალი ტემპი.

რბოლამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი სპორტსმენების „აქილევსის ქუსლად“ კვლავ ტაქტიკა რჩება და სწორედ მასზე უნდა გამახვილდეს მწვრთნელების ყურადღება.

ბ. ბურბუშვილი

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ე. იანჩევსკი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

კ. ბესკოვი: „ვიმედოვნებ, რომ მოსკოვში მივაღწევთ წარმატებას“

ლ. ნიმანი: „მოვკავალს იმედის თვალით ვუყურებთ“

ერთდღიანი შესვენების შემდეგ

ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა მშვიდობის მრავალდღიანი ველოსრბოლა. V ეტაპი ერთობ უჩვეულო პირობებში ჩატარდა. პოზნანიდან სადგურ სვეიბოდზინამდე ველოსრბოლებმა მატარებლით იმგზავრეს და მხოლოდ ამის შემდეგ „ამხედრდნენ“ მანქანებზე. გადაკვეთეს პოლონეთი — გერმანიის საზღვარი და დაამთავრეს ეტაპი ბერლინში, ვალტერ ულბრიხტის სახელობის სტადიონზე.

წარმატებას ამჯერადაც ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა მიაღწიეს, რომელთა ლიდერი ი. სმოლიკი ფინიშთან პირველი იყო. სმოლიკი ინარჩუნებს საერთო პირველობას ხუთი ეტაპის შემდეგ. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ნელნელა იუმჯობესებს მდგომარეობას. მეხუთე ეტაპზე ლიდერთა ჯგუფში ორი საბჭოთა სპორტსმენი — ვ. კაპიტონოვი (მე-10 ადგილი) და ა. ჩერეპოვიჩი (მე-11 ადგილი) იყო. მაგრამ გუნდი ჯერჯერობით მაინც მეშვიდე ადგილზეა.

ჩემპიონთა შეხვედრა

დასასრული

შავები (რანიკუ): მფb7, ლe6, ეf3, ეh8, მc4 პ-ბი: a3, b6, c7, d5 (9).

პარტია ასე წარიმართა: 1. ლe2 (ჩაწერილი სვლა) ლf5, 2. კf4 ე:c3, 3. ეg2 ლh3, 4. f3 ლh5, 5. g4 ლf7, 6. კg3 ე:f3, 7. ეf1 ე:g3+ 8. hg ლh7, 9. c3 ლh1+ 10. მფf2 ეh2+ და ალექსანდრია დანებდა.

აი ასეთ პოზიციაში იყო გადადებული ბუცხრიკიძე — ალექსანდრიას პარტია:

თეთრები (ბუცხრიკიძე): მფf2, ლh3, ეg1, პ-ბი: a2, b3, d3, d5, e4, h6 (9).

შავები - (ალექსანდრია): მფh8, ლf4, ეf7, პ-ბი: a6, b5, c5, d6, e5, f3, h7 (10).

ბრძოლა მასში ასე გაგრძელდა: 1. ეg7 (ჩაწერილი სვლა) ეf8, 2. ეd7 a5, 3. ეa7 a4, 4. ეc7 ab, 5. ab ლd2+ 6. მფg3 ეg8+ 7. ეg7 ლg2+ 8. ლ:g2 fg, 9. ე:g8+ მფ:g8, 10. მფ:g2 მფf7, 11. მფg3 მფf6, 12. მფh4 მფg6, 13. მფg4 მფ:h6, 14. მფf5 მფg7, 15. მფe6 h5, 16. მფ:d6 h4, 17. მფc7 h3, 18. d6 h2, 19. d7 h1ლ, 20. d8ლ ლa1, 21. ლe7+ მფg6, 22. ლd6+ მფg5, 23. ლ:c5 მფf4 ყაიმი.

ამრიგად, V ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი (4,5 ქულა). მ. რანიკუსა და ვ. ნედელკოვიჩს 3-3 ქულა აქვთ. ა. ჩიაკოვსკაიას—2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ე. კელერ-გერმახს—2,5 ქულა.

დღეს მონაწილენი ისვენებენ, 17 მაისს შედგება VI ტური.

ს უ რ ა თ ზ ე: ბათუმში გამართულ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაზე მეორეთანრიგოსანთა შორის გამარჯვებული ლ. ჩხაიძე.

ფოტო პ. კებაბჩიანისა.

ჯესი ოუენსის დარად

ამერიკელმა მოსწავლემ ჯონი ჯეიმსმა კალიფორნიის შტატის ქალაქ პერისში გამართულ მძლეოსნობა შეჯიბრებაზე 100 იარდის გარბენს 9,4 წამი მოანდომა, რითაც გაიმეორა ეროვნული რეკორდი თავისი ასაკის ჭაბუკებისათვის, რომელიც ეკუთვნოდა სახელგანთქმულ სპრინტერ ჯესი ოუენსს.

ეს დრო შეეფარდება 100 მეტრზე რბენაში 10,2 წამს.

ჩაბარებული მაჩვენებლებით აღნიშნეს მაისის სტარტები ამერიკელმა მძლეოსნებმა. ფრესნოში (კალიფორნიის შტატი) 20 წლის სტუდენტმა დ. ნიუმენმა 100 იარდი გაირბინა 9,2 წამში, რაც უდრის 10,0 წამს 100-მეტრიან დისტანციაზე. კიდევ უფრო მაღალი შედეგი ჰქონდა ბ. ჰეიესს, რომელმაც ნაშვილის ასფალტის ბილიკზე აჩვენა 9,1. ეს საუკეთესო მსოფლიო მიღწევაა საერთოდ! 34 წლის პ. მაკ-არდელმა 10.000 მეტრი გაირბინა 29 წუთსა და 03,4 წამში.

ესაა მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში. ასეთივე მაღალი შედეგი აჩვენა აგრეთვე ჯ. იულსმა ჰოკეის ხტომაში — 4 მ 95 სმ.

ბრძოლა პრიზებისათვის

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში მცირე ხნის შესვენების შემდეგ (6-16 მაისი) განახლდება გათამაშება. უახლოეს კვირადღეს ჩატარდება მორიგი ტურის მატჩები.

ეჭვი არ არის, რომ ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ, თუ რა მდგომარეობაა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებს შორის ჩემპიონატში დაწესებული სხვადასხვა პრიზებისათვის ბრძოლაში.

გათამაშებას, როგორც ცნობილია, სათავეში უდგას თბილისის „დინამო“, მაგრამ ჩვენი გუნდი ამავე დროს საფუძვლიან განაცხადს აკეთებს რამდენიმე პრიზის მოპოვებაზე.

ძალზე დიდნიშვნელოვანი და საპატიოა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ დაწესებული პრიზი, რომელიც გადაეცემა კლუბს საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობების ჯამში. აქ პირველივე ტურებიდან დაწინაურდა თბილისის „დინამოს“ კოლექტივი. დინამოელებს 9 ტურის შემდეგ აქვთ 28 ქულა (12 — ძირითად შემადგენლობას, 16 — დუბლიორებს). მომდევნო ადგილებზე არიან: „დინამო“ (კიევი) — 25 ქულა (11+14), „შახტიორი“ (დონეცკი) — 22 ქულა (10+12), „სპარტაკი“, (მოსკოვი) — 21 ქულა (10+11).

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ დაწესებულია აგრეთვე ტრადიციული პრიზი სათადარიგო შემადგენლობათა ტურნირში გამარჯვებულისათვის. გათამაშების ცხრილში წინაა თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდული გუნდი, რომელსაც 9 თამაშის შემდეგ აქვს 16 ქულა. (თბილისელებმა მოიგეს 7 მატჩი, 2 ფრედ დაამთავრეს და არც ერთი არ წაუგიათ. ბურთების სხვაობაა 16 — 5). მეორე ადგილზეა კიევის „დინამო“ (14 ქულა), მესამეზე — დონეცკის „შახტიორი“ (12).

თბილისის „დინამო“ წარსულ წლებში უკვე ფლობდა გამორჩეული საბჭოთა ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის პრიზს, რომელიც დაწესებულია ყველაზე უფრო შედეგიანი გუნდისათვის. წელს თბილისელმა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანეს 13 ბურთი. ჩვენს გუნდს 2 ბურთის განსხვავებით ჩამორჩებიან მოსკოვის „ტორპედო“ და „დინამო“, ხოლო მოსკოვის სპარტაკელებს გატანილი აქვთ 10 ბურთი.

გაზეთ „ტრუდის“ რედაქცია პრიზით აჯილდოებს სეზონის ყველაზე შედეგიან ფორვარდს. სნაიპერთა ბრძოლაში კვლავინდებურად წინაა თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელი ვ. ბარქაია, რომლის პირად ანგარიშზეა 5 ბურთი. ლიდერს კვალში მისდევენ მოსკოვის დინამოელები ი. ჩისლენკო და ი. ვშივცევი, აგრეთვე ვ. ივანოვი („ტორპედო“, მოსკოვი), რომლებმაც გაიტანეს 4-4 ბურთი.

დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებული მატჩისთვის ბრძოლაში ჯერჯერობით წინაა მოსკოვის „სპარტაკი“. მოსკოველებმა მოუგეს ქუთაისის „ტორპედოს“ (3:0) და ბაქოს „ნეფტიანიკს“ (4:0).

ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქცია ყოველწლიურად გადასცემს პრიზს სეზონის საუკეთესო მეკარეს. მარცალია, ამ ჯილდოს მიკუთვნება არ ხდება მხოლოდ გაშვებული ბურთების როდენობის ფიქსირებით, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიმდინარე ჩემპიონატის პირველ 9 ტურში ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვეს მინსკის „დინამოს“ მეკარეებმა (სულ 2); მოსკოვის „სპარტაკისა“ და დონეცკის „შახტიორის“ კარში გავიდა 3-3 ბურთი.

დიდოსტატის და — სპორტის ოსტატი

ცნობილი მოჭადრაკის ბორის სპასკის დას — ირინეს, ბავშვობაში თოჯინები არ აინტერესებდა. მას ცვლიდნენ ლაზიერები, ეტლები, პაიკები, რომლებიც შინ ჭარბად იყო — ექვსი საჭადრაკო კომპლექტი. უკვე 5 წლის ასაკში გოგონა ჩაწვდა საჭადრაკო კომბინაციების საიდუმლოებას, მაგრამ სამი წლის წინათ ირინემ მოულოდნელი სვლა გააკეთა— დაიწყო... შაშის თამაში! და, უნდა ითქვას, წარმატებით. ამას წინათ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ მოშაშე ვაჟთა ტურნირში მან შეასრულა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა.

ლენინგრადის ქალთა ჩემპიონატში რუსულ შაშში ირინე სპასკიას არც ერთი პარტია არ წაუგია, 10 შესაძლებლიდან მოაგროვა 9 ქულა და ქალაქის ჩემპიონი გახდა.

სურათზე: ირინე სპასკაია.

20 მაისს—კოპენჰაგენში

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა ევროპისა და სკანდინავიის ნაკრები გუნდების შეხვედრის მსაჯად დაამტკიცა ჰოლანდიელი ლეო ჰორნი. ეს მატჩი შედგება 20 მაისს.

სკანდინავიის ნაკრების შემადგენლობა დღესაც არაა გამოქვეყნებული. შვედების მწვრთნელი ლ. ნიმანი თანახმა არ არის ამ შეხვედრისთვის გაათავისუფლოს თავისი წამყვანი ფეხბურთელები, რომლებიც მას საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ჭირდება 27 მაისისათვის. ამის ნაცვლად სკანდინავიის ნაკრების ხელმძღვანელობას ლ. ნიმანმა წინადადება მისცა გამოიყენონ ოდესღაც სახელოვანი ფეხბურთელები, დღეს კი ფრიად ხანდაზმული გრენი, სკოგლუნდი და სხვები, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

ამ მატჩისთვის კოპენჰაგენში დაბრუნდება ორი ცნობილი დანიელი ფეხბურთელი, რომლებიც ახლა იტალიაში თამაშობენ: ცენტრალური მცველი ა. ნილსენი („ატალანტა“) და თავდამსხმელი ჰ. ნილსენი („ბოლონია“).

ფეხბურთის ამბები

ახალი „ვარსკვლავი“

იმ ახალ ნიჭიერ ფეხბურთელთა შორის, რომლებიც წლევანდელი სეზონის განმავლობაში ბრაზილიაში დაწინაურდნენ, პრესა განსაკუთრებით აქებს 20 წლის ადამირ და გოიას. ეს მოთამაშე წელს პირველად გამოჩნდა სან-პაულუს შტატის ჩემპიონატში ცნობილი კლუბის „პალმეირასის“ შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ „პალმეირასში“ თამაშობდნენ ვავა და სხვა ცნობილი ოსტატები, პრესა პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტად მაინც პოპულარულ კლუბ „სანტოსს“ მიიჩნევდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ შტატის ჩემპიონატში „სანტოსმა“ მარცხი იგემა და გამარჯვება „პალმეირასს“ დარჩა. ამ წარმატებაში გადამწყვეტი როლი ადამირ და გოიამ შეასრულა.

ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელებმა — ფეოლამ და მორეირამ ყურადღება მიაქციეს ახალ „ვარსკვლავს“, შეიყვანეს 1966 წელს ლონდონში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის კანდიდატთა სიაში. მაგრამ, როგორც ეს სამხრეთი ამერიკის ქვეყნებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, გოიას კინაღამ ცხრა მთას იქით უკრეს თავი. საქმე ისაა, რომ მისი კლუბი „პალმეირასი“ დაბარბდა იტალიის ჩემპიონ „ინტერნაციონალეს“ პატრონ მორატის წინადადებას, რომელმაც ბრაზილიელებს მათ „ვარსკვლავში“ 300 მილიონი კრუზეირო შეაძლია. „პალმეირასი“ ასე ანგარიშობდა — მას არ გაუჭირდებოდა ახალი მოთამაშეების პოვნა იმ მრავალრიცხოვან ჭაბუკთა შორის, რომლებიც გარს ეხვევიან თვითეულ პროფესიონალურ კლუბს, იტალიელების მიერ შეძლეული თანხით კი გვარიანად მოითბობდა ხელს.

მაგრამ ადამირ და გოია არ გაემგზავრა იტალიაში. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა მისი საკითხი და ვეტო დაადო ამ გარიგებას. აქ, რა თქმა უნდა, თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა ნაკრების ხელმძღვანელობამ თქვა.

„საძაგლად თამაშის ერეკლეული ბიბლიოთეკა“

ყოველი გუნდის ოცნება მოიპოვოს თასი, მაგრამ ინგლისური კლუბის „ვესტონ სუპერ მეიერის“ ფეხბურთელები ძალზე შეწუხდნენ, როცა გაიგეს, რომ მათ მიეკუთვნათ „საძაგლად თამაშის თასი“. იგი გადაეცემა ინგლისის ყველაზე სუსტ გუნდს. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ჩატარებულ 52 ოფიციალურ შეხვედრაში „ვესტონ სუპერ მეიერის“ ფეხბურთელებმა დააგროვეს მხოლოდ 2 ქულა, მეტოქის კარში გაიტანეს 25 ბურთი, საკუთარში კი მიიღეს... 425.

უეფა-ს კონგრესი

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის მორიგი კონგრესი გაიხსნება მადრიდში 17 ივნისს. აქ ფედერაციის წევრად მიღებულ უნდა იქნას კვიპროსის რესპუბლიკა. კონგრესმა უნდა დაადგინოს აგრეთვე ევროპისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრის თარიღიც (ეს მატჩი 8 აპრილს უნდა ჩატარებულიყო ქ. სკოპლეს მიწისძვრით დაზარალებულ მცხოვრებთათვის თანხის მოსაგროვებლად, მაგრამ ზოგმა ქვეყანამ ვერ მოახერხა თავისი წამყვანი მოთამაშეების გათავისუფლება).

მთავარი საკითხი, რომელიც კონგრესმა უნდა განიხილოს, მაინც მსოფლიო ჩემპიონატის ვადების საკითხია. საყოველთაო აზრით, ასეთი ღონისძიების 4 წელიწადში ერთხელ ჩატარება მიზანშეწონილი არ არის. უკეთესი იქნებოდა მისი 3-წლიანი, ან უფრო ხანმოკლე ციკლით ჩატარება.

კონგრესი ამ საკითხზე განიხილავს ორ წინადადებას: **პირველი:** რომ მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდეს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ (ერთ წელს შესარჩევი თამაშები, ხოლო მეორე წელს — ფინალი). საკმაო რაოდენობით ჰყავს მომხრეები **მეორე წინადადებასაც,** რომლის ძალითაც ჩემპიონატის ხანგრძლივობა 3 წელი იქნება.

მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ახლანდელი სისტემა უკმაყოფილებას იწვევს არა მარტო ევროპაში. საყოველთაო აზრია, რომ იგი მეტად გაჭიანურებულია და შეკვეცას საჭიროებს.

ოვედური გაზეთების ფურცლებზე

გაზეთ „იდროტსბლადეტში“ სპორტულ გვერდზე მოთავსებულ მასალებს სსრ კავშირ—შვეიცის ფეხბურთელთა მატჩზე უძღვის სათაურები: „საპატიო ფრე მაღალი კლასის გუნდთან, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობს შვეიცაში. რუსები სწრაფად შეეგუენ თამაშის მძიმე პირობებს. მათი ტაქტიკა უკეთ შეესატყვისებოდა სველ მინდორზე მოქმედების ამოცანას. შვედებმა შეინარჩუნეს სიდინჯე და საბრძოლო სულისკვეთება“.

„სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ მსხვილი სათაურით იწყებს: „ჰამრინმა იხსნა შვეიცია, მისი პრესტიჟი“. გაზეთი წერს, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა აჩვენეს კარგი ტექნიკა და რთულ პირობებში კომბინირების უნარი.

ორი პირველი გვერდი მიუძღვნა მატჩს „სვენსკა დაგბლადეტმა“. აქაც თვალს გჭრით სათაური — „ჰამრინმა იხსნა შვეიცის ღირსება“. სპორტული მიმომხილველი წერს, რომ სტუმრებმა თამაშობდნენ უფრო ძლიერად და დაბეჯითებით იბრძოდნენ ბურთისთვის მთელი მატჩის მანძილზე. იგი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ნაკრების ყველა ფეხბურთელის ეფექტურ თამაშს და ლ. იაშინის ჩინებულ „დირიჟორულ მუშაობას“.

ჯიმ გოულდის კონვერტები

ჯიმ გოულდიმ კონვერტი ჩააგდო საფოსტო ყუთში. მეორე დღეს „შეფილდ უენსდეის“ ფეხბურთის გუნდის საუკეთესო თავდამსხმელმა დევიდ ლეინმა მიღებული წერილის კონვერტში აღმოაჩინა 600 გირვანქა სტერლინგის მისაღები ქვითარი. იმ საღამოსვე „იასვიჩ ტაუნის“ გუნდთან შეხვედრის დროს ლეინმა და მისმა თანაგუნდელებმა ვერ გაიტანეს ვერცერთი ბურთი. თავიანთ კარში კი გაუშვეს ორი, იმდენი, რამდენიც საჭირო იყო გოულდისათვის.

საქმე იმაშია, რომ „შეფილდი“ იმყოფებოდა სატურნირო ცხრილის ყველაზე მაღალ საფეხურზე, ხოლო „იასვიჩი“ უკანასკნელ ადგილზე იყო. მატჩის შედეგი არავისში არ იწვევდა ეჭვს და ამიტომ ტოტალიზატორში აუტსაიდერზე, რასაკვირველია, არავის შეუტანია ფული, გოულდმა კი აღნიშნა ანგარიშიც. მექრთამემ მიიღო კოლოსალური მოგება.

კონვერტები ქვითრებით გოულდს არაერთხელ გაუგზავნია. როგორც ლონდონის გაზეთი „პიპლი“ იტყობინება, გოულდის წერილები მიიღო ბრიტანეთის წამყვანი კლუბების 30-მდე მოთამაშემ. ბოლოსდაბოლოს თაღლითობა გაიხსნა. ყველა ფეხბურთელი, რომლებმაც ქრთამი მიიღეს, დისკვალიფიცირებულ იქნა. მოსალოდნელი იყო, რომ სამართლიანობა იდღესასწაულებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ინგლისში ფეხბურთის ტოტალიზატორები კვლავ მოქმედებენ და მის გარშემო მყოფი თაღლითები მდიდრდებიან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა
„ა“ კლასი
II ჯგუფი
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)

16 მაისს — დუბლშემადგენლობანი („ბურევესტნიკის“ სტადიონზე) დასაწყისი 17 საათზე.

17 მაისს — ძირითადი შემადგენლობანი („დინამოს“ სტადიონზე) დასაწყისი 18 საათზე.

მსოფლიო საერთაშორისო კალენდარი

მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის წინ პორტუგალიის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ჩასატარებელი აქვს რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი, რომელმაც გუნდის შემადგენლობა უნდა დაადგინოს. პორტუგალიელები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ 17 მაისის მატჩს ინგლისთან. ამის შემდეგ ინგლისელები, რომელთა საბრძოლო შემადგენლობა უკვე ცნობილია, გაემგზავრებიან „ოთხთა ტურნირში“ მონაწილეობის მისაღებად, ხოლო პორტუგალიელები ორჯერ უნდა შეხვდნენ ბრაზილიელებს (14 ივნისს რიო-დე-ჟანეიროში, ხოლო 21 ივნისს — ოპორტოში).

წლების განმავლობაში პორტუგალიელთა ნაკრების ფორმის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო ეუსებიოს თამაში. ახლა კი, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ყურადღებას იპყრობენ ძლიერი გარემარბები აუგუსტო და სიმეოსი.

რაც შეეხება დაცვას, მრავლადაა სისუსტეები. მას შემდეგ, რაც ასაკიანი და ტრავმის გამო თამაში შეწყვიტეს ცნობილმა მეკარემ პერეირამ და ცენტრალურმა მცველმა ჯერმანომ, პორტუგალიელთა დაცვითს ხაზებში „ბზარი გაჩნდა“, რომლის შესაკეთებლად ნაკრების ხელმძღვანელობა სხვადასხვა ექსპერიმენტს მიმართავს.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში პორტუგალიელები ჩეხებს უნდა შეხვდნენ, რაც მათ არასასურველად მიიჩნიათ. ამიტომ პორტუგალიამ სპეციალური პროტესტიც კი გაუგზავნა ფიფა-ს ხელმძღვანელობას, რომელმაც თითქოს არასწორად გაანაწილა გუნდები.



ახალი სახეობა?

რა შეიძლება ვუწოდოთ მას? სპორტის ახალი სახეობა? ასეთი კამათი გამოიწვია ამერიკის პროფესიონალ ჩოგბურთელთა შეჯიბრებამ, რომელიც აბსოლუტურ წყვდიადში მოეწყო. მოთამაშეთა და მაყურებლების დაახლოებითი ორიენტირების მიზნით ბურთი ამოვლებულ იქნა სპეციალურ ბრჭყვიალა ხსნარში.

ვის ჭირდება ასეთი შეჯიბრება? ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ამდაგვარი გზით ადვილია პროფესიული ჩოგბურთის ბნელი საქმეების დაფარვა.

არაოლიმპიური თამაშები

ლიონის მუნიციპალიტეტი ძალზე უკმაყოფილოა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით: 1968 წლის ოლიმპიური თამაშები მოეწყოს მეხიკოში და არა ლიონში. პროტესტის ნიშნად ლიონელებმა გადაწყვიტეს ოლიმპიადის წელს მოაწყონ არაოლიმპიური თამაშები, რომელშიც შევა სპორტის ყველა ის სახეობა, რომელმაც ვერ მიიღო მოქალაქეობის უფლება ოლიმპიურ თამაშებში. კერძოდ, ჩოგბურთი, ხელბურთი, რეგბი, მაგიდის ჩოგბურთი და ასე შემდეგ. ამ შეხვედრების მოწყობის მიზნით, ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ შექმნან „საერთაშორისო არაოლიმპიური კომიტეტი“.



უსიტყვოდ...

ჟურნალ „სპორტოვეციდან“ (პოლონეთი).

უცხოური იუმორი



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЭ 01204